ბორჯომი

12 იანვარი ხუთშაბათი
2023 წელი
№3 (9265)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

საახალწლო ღონისძიებები ბორჯომში

ბორჯომში პრემიერ-მინისტრის ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილი საახალწლო ღონისძიებები ფიიერვერკითა და გალა კონცერტით დასრულდა.

მერაბ კოსტავას სახელობის ახლადრეაბილიტირებულ ბაღში, საშობაო ბაზრობაზე მსურველებს ადგილობრივ ხელოვანთა და მეწარმეთა მრავალფეროვანი პროდუქციის შეძენა შეეძლოთ.

მთელი დღის მანძილზე საბავშვო გასართობ სივრცეებში პატარებისთვის სხვადასხვა ტიპის აქტივობები გაიმართა, მათ შორის ფოტოსესია სანტა კლაუსთან. ტერიტორიაზე მოწყობილი იყო საახალწლო სახლები, ფოტოგადასაღები სტენდები და ინსტალაციები.

ბაღში საზეიმო მსვლელობა მოაწყო მოძრავმა ორკესტრმა.

დღის ბოლოს, გალა კონცერტი ცეცხლოვანმა შოუმ გახსნა. კონცერტში მონაწილეობდნენ ყველასათვის საყვარელი ანსამბლები „ალილო და „ოჩოს ქოხი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა** და მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ** ახალი, 2023 წლის დადგომა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ბორჯომის „ჯეო ჰოსპიტალსის, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მედიკოსებს, საგანგებო სიტუაციების მართვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბორჯომის რაიონული სამმართველოს და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს მიულოცეს.

- მინდა მოგილოცოთ ახალი წლის შემობრძანება. თქვენ ხართ ის ადამიანები, რომლებიც 24 საათიან რეჟიმში დგახართ ქვეყნის და ხალხის სამსახურში, რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ, - აღნიშნა ბორჯომის მერმა მილოცვისას.

ჯილდოები - მშობლიური ქალაქის ღირსეულად წარმოჩენისათვის

31 დეკემბერს, ბორჯომის მერაბ კოსტავას სახელობის ახლადრეაბილიტირებულ ბაღში საახალწლო ღონისძიება ჯგუფი „რეგიონის“ კონცერტით დასრულდა. საახალწლო ნაძვის ხესთან არსებული სცენიდან ბორჯომელებს ახალი წელი მიულოცა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა,** მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ** და დეკანოზმა **იოანე (ხეცურიანმა)**.

მთელი დღის მანძილზე საბავშვოგასართობ სივრცეებში პატარებისთვის სხვადასხვა ტიპის აქტივობები გაიმართა, მათ შორის ანიმატორები და ოჩოფეხები, სახეზე ხატვის კუთხე, ინსტალაცია „მარხილი“ - პატარებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ჩამსხდარიყვნენ მარხილში და თოვლის პაპასთან გადაეღოთ სურათები. თოვლის პაპა, ზღაპრის გმირები ჯუჯები და ელფები მთელი დღის მანძილზე ზრუნავდნენ პატარების საახალწლო განწყობაზე. ასევე მოეწყო საჰაერო შოუ - „მფრინავი ბალერინა“.

მუნიციპალიტეტის პირველმა პირებმა და დეკანოზმა **იოანე (ხეცურიანმა)** ქალაქის სახელის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანისთვის სხვადასხვა სფეროში წარმატებული ბორჯომელები: საოპერო მომღერალი **რამაზ ჩიკვილაძე,** ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **დიმიტრი ხაჩიძე,** ალპინისტი („ოქროს წერაყინის“ მფლობელი) **ბაქარ გელაშვილი,** უძლიერეს მამაკაცთა შორის სამგზის მსოფლიო რეკორდის მფლობელი **გიორგი ტალახაძე** და მოჭადრაკე **ბარბარე შონია** 1000-ლარიანი ვაუჩერითა და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვეს.

დღის ბოლოს ადგილობრივი ვოკალური ანსამბლების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა.

სადღესასწაულო ღონისძიებები „მრავალჟამიერით“ და ფეიერვერკით დასრულდა.

ბორჯომელ ექიმ-ინტერნებს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, ბორჯომელ ექიმ-ინტერნებს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ეფინანსებოდა ბინა-ბინა. ეს ინიციატივა ბორჯომელ ექიმ-ინტერნებს ეხებოდა, ვინც ბორჯომის ტერიტორიაზე ან ბორჯომის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციებიდან,

განმარტებითი ბარათი

(გაგრძელება)

ბიუჯეტის პარამეტრები საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს ემთხვევა.

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები განსაზღვრა **28 380.8 ათასი ლარით.** მათ შორის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში **13 450 0 ათას ლარს** შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება **3 095.0 ათასი ლარით (29.9%-ით).**

2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრა **5 000.0 ათასი ლარით.**

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებლებთან შედარებით დღგ გაზრდილია **161.8%-ით (3 090.0 ათასი ლარით).** აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადახარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს **8 450.0 ათას ლარს;**

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი **0,06%-ით (5.0 ათასი ლარით)** გაიზარდა.

2023 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება **380.0 ათასი ლარით.**

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია **14 250.0 ათასი ლარის ოდენობით,** მათ შორის:

● პროცენტები **550.0 ათასი ლარი;**

● რენტა **11 030.0 ათასი ლარი.**

◆ **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 1 534.1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

● სანებართვო მოსაკრებელი **134.1 ათასი ლარი.** ● სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი **1 000.0 ათასი ლარი.**

● ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 370.0 ათასი ლარი.

● შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან **30.0 ათასი ლარი;**

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1 000,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

● შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო **160,0 ათასი ლარი;**

● შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო **120,0 ათასი ლარი;**

● საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის **720.0 ათასი ლარი.**

◆ **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 136,7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:** კლასიფიცირებული **136.7 ათასი ლარი;**

◆ **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს **300.0 ათას ლარს:**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს **28 250.8 ათას ლარს** (2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება **2 806.8 ათასი ლარით.**

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

◆ **პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის განვითარება - 8 655.0 ათასი ლარი:**

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 2 060.0 ათასი ლარი; მათ შორის **განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია:**

2023 წელს რეგიონალური ფონდიდან დასაფინანსებელი საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტების თანადაფინანსება **180.0 ათასი ლარი.**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. დგვარში შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები **450.0 ათასი ლარი.**

ბაკურიანში წაქაძის ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია (II მონაკვეთი) **100.0 ათასი ლარი;**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **ცენტრალურ ქუჩებზე არსებული ღობეების რეაბილიტაცია 200.0 ათასი ლარი;**

მუნიციპალიტეტში დამონტაჟებული **გარე-ვიდეო სამეთვალყურეო კამერების შეძენა მოვლა-პატრონობა 630.0 ათასი ლარი;**

საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა 500.0 ათასი ლარი.

წყლის სისტემების განვითარება - **775.6 ათასი ლარი;**

განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

● 2023 სოფელ ციხისჯვარში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია **135.0 ათასი ლარი.**

● (ააიპ) ბორჯომის სოფლის წყალი **640.6 ათასი ლარი.**

გარე განათება 1 140.0 ათასი ლარი განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

● გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯი **800.0 ათასი ლარი.**

● (ააიპ) ბორჯომის გარე განათება **340.0 ათასი ლარი.**

მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია 1 150.0 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2023 წელს.

2023 წელს რეგიონული ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ცენტრალურ ქუჩებზე არსებული შენობების ფასადების რეაბილიტაციის თანადაფინანსება 150.0 ათასი ლარი.

● ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხერლშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი შენობების სახურავების გადახურვა, სადარბაზოების კეთილმოწყობა და სხვა. **529.0 ათასი ლარი.**

● სოფელ ყვიბისში ე.წ. კვახიან ღელეზე ნაპირდამცავი კედლის მოწყობა **471.0 ათასი ლარი.**

◆ **კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის დაიხარჯება 785.1 ათასი ლარი.**

● ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობა **150.0 ათასი ლარი.**

● 2023 წელს რეგიონალური ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების სკვერების კეთილმოწყობის თანადაფინასება ახალდაბაში სანაპიროზე სკვერის მოწყობა **200.0 ათასი ლარი.**

● ა(ა)იპ ბორჯომის გამწვანება 2012 **327.1 ათასი ლარი.** ● ა(ა)იპ სასაფლაოების მოვლა-პატრონობა **108.0 ათასი ლარი.**

◆ **მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება 1 759.4 ათასი ლარი.**

● მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება **1598.0 ათასი ლარი.**

● სატრანსპორტო საშუალებების შეძენა **161.4 ათასი ლარი.**

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა *700.0 ათასი ლარი.*

● დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრულია **400,0 ათასი ლარი.**

● პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება **(300 ათასი ლარი).**

● სამოქალაქო ბიუჯეტი ითვალისწინებს **285.0 ათასი ლარს.**

● სოფელ სადგერიდან გოგირდის აბანოებამდე ჩასასვლელი საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცია **105.0 ათასი ლარი.**

● სოფელ ცემში არსებული ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციაზე გათვალისწინებულია **180.0 ათასი ლარი.**

◆ **დასუფთავება და გარეგოს დაცვაზე განსაზღვრულია 2 040.0 ათასი ლარი.**

● პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა. აღნიშნულ ღონისძიებას ახორციელებს ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება.

● **განათლებისათვის ბიუჯეტი ითვალისწინებს 3 523.1 ათას ლარს.**

● სკოლამდელ განათლებაზე **3 270.6 ათას ლარს.**

● საჯარო სკოლების ფინანსური დახმარებასა და რეაბილიტაციაზე - **152.5 ათას ლარს** (ბაკურიანის საჯარო სკოლის ქირა).

● საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება 100.0 ათასი ლარი.

◆ კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის განვიტარებისათვის გათვალისწინებულია **4 482.2 ათასი ლარი, სოლო** სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის - 1 **478.4 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს. ამ პროგრამით განხორციელდება:

● ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლის ბიუჯეტ განისაზღვრა **814.8 ათასი ლარით.**

● ა(ა)იპ ბორჯომის ფეხბურთი 2013 გუნდისათვის - **242.2 ათასი ლარი.**

● რაგბის კლუბი „ტაო“ - **110.0 ათასი ლარი.**

● სპორტული ღონისძიებებისათვის **31.7 ათასი ლარი.**

● ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების სასპორტო შენობების მოწყობისათვის და რეაბილიტაციისათვის **დაიხარჯება 279.7 ათასი ლარი.** (ქ.ბორჯომში, პლატოზე სპორტული მოედნის მოწყობა).

◆ **კულტურის განვითარების ხელშეწყობისათვის 2 878.8 ათასი ლარია განსაზღვრული.**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, კერძოდ:

● ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ბორჯომის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლას გამოუყო **411.7 ათასი ლარი.** ა(ა)იპ ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანებას - **438.6 ათასი ლარი.** ა(ა)იპ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრს - **848.0 ათასი ლარი.** ა(ა)იპ ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკს - **100.0 ათასი ლარი.** ეროვნული, სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიებებს - **511.5 ათასი ლარი.**

ახალგაზრდობის მხარდაჭერ პროგრამებს - 284.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ, სპორტულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების და ხელოვნების სხვადასხვა დარგში წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ თავიანთი შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე, მუნიციპალიტეტის მიზანია წარმატებული სტუდენტების მოტივაციის ამაღლების და მათი პროფესიული გაძლერების მიზნით მათი წახალისება და ხელშეწყობა.

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობისათვის განკუთვნილია **285.0 ათასი ლარი.**

საინფორმაციო მომსახურეობისთვის - **125.0 ათასი ლარი.**

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის განკუთვნილია **3 443.4 ათასი ლარი.**

ჯანმრთელობს დაცვისათვის 170.2 ათასი ლარი გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება.

● ა(ა)იპ ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის - **115.2 ათასი ლარი.**

● უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების პოპულაციისათვის **40.0 ათასი ლარი;**

● ამბულატორიული, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურეობის და ჰუმანიტარული დახმარების ხელშეწყობასა და რეაბილიტაციისათვის **15.0 ათასი ლარი.**

● სოციალური დაცვისათვის დაიხარჯება **3 273.2 ათასი ლარი და** გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება.

● მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურებისათვის **1 125.0 ათასი ლარი.**

● უფასო სასადილოს დაფინანსება **477.0 ათასი ლარი.**

● ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები **3.6 ათასი ლარი.**

● მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ომში მონაწილე შშმ ვეტერანთა დახმარების მიზნით გათვალისწინებულია **6,0 ათასი ლარი.**

● ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებსათვის გამოიყო **200.0 ათასი ლარი.**

● 18 წლამდე ასაკის დედმამით ობოლი ბავშვების დახმარებისათვის **3,0 ათასი ლარი.**

● სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია **36.7 ათასი ლარი.**

● ღვაწლმოსილი ადამიანების დახმარება 3,6 ათასი ლარი.

● 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახებისა დახმარებისათვის **223.2 ათასი ლარი.**

● მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის **280.0 ათასი ლარი.**

● სოციალური დახმარებებისათვის გამოიყო **615.1 ათასი ლარი.**

● ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა 250.0 ათასი ლარი.

● ბავშვთა დაცვა და უფლებების მხარდაჭერის მიზნით დაიხარჯება - **50.0 ათასი ლარი.**

მმართველობის თანხები განისაზღვრა - 6 107.1 ათასი ლარი, მათ შორის:

● **საკრებულოს დაფინანსება - 1 213.7 ათასი ლარი;**

● მერია **- 3 871.6 ათასი ლარი**;

● სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური **131.2 ათასი ლარი.**

● სარეზერვო ფონდი **500.0 ათასი ლარი.**

● შესყიდებთან (ტენდერი აუქციონი) დაკავშირებული ხარჯი **15.0 ათასი ლარი.**

● სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება **75.6 ათასი ლარი,** მათ შორის ძირი **55.6 ლარი და პროცენტი - 20.0 ლარი.**

● სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტო **300.0 ათასი ლარი.**

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

ა/კ ბრძანების კოდი	დასახელება	2023 წლის პროექტი
	სულ ჯამი	28 250.8
01 01 01	საკრებულო	1 213.7
01 01 02	მერია	3 871.6
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისადა გაწვევის სამსახური	1312
01 02 01	სარეზერვო ფონდი	500.0
01 02 04	შესყიდებთან (ტენდერი აუქციონი) დაკავშირებული ხარჯი	15.0
01 02 06	მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა	75.6
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8 655.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის	2 060.0
02 02	წყლის სისტემის და საკანალიზაციო ქსელის განვითარება	775.6
02 03	გარე განათება	1 140.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	150.0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	785.1
02 06	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	1 759.4
02 07	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო დოკუმენტაციის შესყიდვა	700.0
02 11	სამოქალაქო ბიუჯეტი	285.0
03 00	დასუფთავება და კეთილმოწყობა	2 040.0
04 00	განათლება	3 523.1
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	4 482.2
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3 443.4
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	170.2
06 02	სოციალური დაცვა	3 273.2

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯები - **5 975.9 ათასი ლარი;**

თავდაცვა **- 1312 ათასი ლარი;**

ეკონომიკური საქმიანობა - **2 614.4 ათასი ლარი;**

გარემოს დაცვა - **2 717.1 ათასი ლარი;**

საბინაო-კომუნალური მეურნეობა - **5 363.6 ათასი ლარი;**

ჯანმრთელობის დაცვა **- 170.2 ათასი ლარი;**

დასვენება, კულტურა და რელიგია **4 482.2 ასთასი ლარი;**

განათლება - **3 523.1 ათასი ლარი;**

სოციალური დაცვა - **3 273.2 ათასი ლარი;**

ვიცოდეთ ჩვენი ხეობის ისტორია

ბორჯომის სახელწოდების რაობისათვის

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან თორის, ანუ სადგერის ანუ ბორჯომის ხეობაში იწყება ხელახალი დასახლება და სახელი „ბორჯომიც“ ამ დროიდან ჩნდება.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ილია მაისურაძე აღნიშნავდა: „სახელწოდება „ბორჯომი“ წმიდა ქართული წარმოშობისაა. იგი ორნაწილიანი სიტყვაა - „ბორჯ“ და „ომ“. მისი პირველი ნაწილი - „ბორჯ“ - უკავშირდება სიტყვებს „ბორჯი“ - ფესვი, „ბორჯღლი“ - მრავალტოტიანი, ბარჯგი - ორკაპიანი ხე, ბურჯი - ციხის დაკბილული ზეთავი - ხიდის საყრდენი. ყველა საერთო ძირიდან მომდინარეობს და დატოტვილობისა და მრავალ კბილიანობის მნიშვნელობისაა, რაც მანიშნებელია იმისა, რომ ბორჯომი - „ბორჯ“ ძირიდან არის ნაწარმოები და სემანტიკურად „დატოტვილს“ ნიშნავს. რაჭაში, ონის რაიონში, არსებობს მდინარე და მცირე ხეობა ბორჯ-ანა.

რაც შეეხება სიტყვა „ბორჯომის“ მეორე ნაწილს - „ომ“ - იგი ქართული ტოპონიმიკური სახელებისათვის დამახასიათებელი მაწარმოებელია - დიღომი, წრომი, ბათომი, თორთომი, ღორჯომი“ და ა.შ.

საიდან გაჩნდა, როდის, ან როგორ შეერქვა ეს სახელწოდება ჩვენს ქალაქს და ხეობას?

მწერალ გიორგი ზედგინიძისა და მკვლევარ ვალერიან აბულაძის მასალა უდავოა...

სახელწოდება „ბორჯომი“ ისტორიულ წყაროებში პირველად 1595 წელს, თურქების მიერ შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარშია“ აღრიცხულია „ბორჯომი“, ახალციხის მახლობლად, ჭაჭარაქის რაიონში, სოფელ ანდრიაწმინდასთან - ხუთკომლიანი სოფელი.

სახელწოდება „ბორჯომი“ ისტორიულ წყაროებში მეორედ - XVIII საუკუნის 30-იან წლებში ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ გვხვდება, რომ „ახალციხეს ურიებთან ერთვის ბორჯომის-ხევი“,

თურქები თავიანთ მიერ შედგენილ დავთარში, ასევე ვახუშტი ბაგრატიონი თავის გეოგრაფიულ ნაშრომში, ინდექსში და რუკაზე დღევანდელ მიდამოებში ბორჯომს არ ასახელებენ, რაც მიმანიშნებელია, რომ დღევანდელი ბორჯომის ტერიტორიაზე, ან მის მახლობლად, „ბორჯომის“ სახელწოდების მქონე პუნქტი - XVIII საუკუნის 30-იან წლებამდე არ არსებობდა.

სამაგიეროდ, ამ პერიოდში ახალციხის მახლობლად არსებობდა „ბორჯომის“ სახელწოდების სოფელი და ხევი...

ისტორიული წყაროების, 1595 წელს თურქების მიერ შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრისა“ და სახელოვანი გეოგრაფის, ვახუშტი ბაგრატიონის, შრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ მიხედვით ირკვევა, რომ დღევანდელი ბორჯომის ტერიტორიაზე არსებობდა დაბა ნუა, ხოლო ხეობა - „მტკვრის ხეობის“, ან „სადგერის ხეობის“ სახელწოდებას ატარებდა.

1771-1772 წლებში საქართველოში უმოგზაურია აკადემიკოს იოჰან ანტონ გიულდენშტედტს, რომლის მოგზაურობის მასალები პირველია, საიდანაც ირკვევა, რომ იმ დროს ხეობაში არსებობს გეოგრაფიული ადგილი ბორჯომის სახელწოდებით. იგი სხვადასხვა ადგილზე სამჯერ ახსენებს ბორჯომს:

1. „სურამის სამხრეთითა, კიდევ უფრო მაღლა არის ბორჯომი, ახალდაბა, ქიმერეთი, ნეძვი, კორტანეთი, ზანავი“,... და შემდეგ აგრძელებს დასახლებული პუნქტების ჩამოთვლას დასავლეთის მიმართულებით, განლაგების მიხედვით.

2. „სურამიდან ზევით (მტკვრის მარცხენა მხარეზე) ბორჯომი, ახალდაბა (ციხე), ქიმერეთი, ნეძვი, კორტანეთი, ზანავი, - ყვიბისი, თორი, ეშმაკთ უბანი, ჭალა, ნუა, ფაფა, ლიკანი, ყვერბილი, პეტრეს ციხე, ჭობისხევი...“

3. „მტკვარი მიედინება სათავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, თურქების მიერ დამორჩილებულ და საქართველოსგან მოწყვეტილ ზემო ქართლში ახალდაბა-ბორჯომამდე“.

როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ზედგინიძე აღნიშნავდა: „გიულდენშტედტის ამ ცნობების ეჭვის ქვეშ დაყენება შეუძლებელია“.

მაშასადამე, 1771-1772 წლებისათვის, როდესაც იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა საქართველოში იმოგზაურა, ქვიშხეთსა და ახალდაბას შორის არსებულა პუნქტი „ბორჯომი“. ე. ი. ხეობაში სახელი „ბორჯომი“ პირველად, ხეობის შემოსასვლელ ყელს, ხეობის კლდეკარს ეწოდებოდა.

XX საუკუნის შუა წლებში, აწ გარდაცვლილმა პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ მოსკოვის სამხედრო საისტორიო არქივში დაცული ორი დოკუმენტი გამოაქვეყნა. ორივე მათგანი 1785 წლითაა დათარიღებული და ერეკლე II-ის მეფობის პერიოდს შეეხება. გიულდენშტედტის მოგზაურობიდან კი 13 წლითაა დაშორებული.

აღნიშნული დოკუმენტები კიდევ ერთხელ ასაბუთებენ, რომ „ბორჯომი“ ხეობის ყელში მდებარეობდა და მის კლდეკარს წარმოადგენდა, რომ ის ქვიშხეთისა და სურამის სიახლოვეს, საყარაულო პუნქტი იყო.

როგორც ჩანს, თეიმურაზ II-ის ოცნება ერეკლე II-მ შეასრულა, როდესაც შუა ქართლიდან ხეობაში და ხეობიდან შუა ქართლში მტრის შეჭრისაგან დასაცავად საყარაულო კოშკი დააარსა, რითიც თურქებისა და ლეკების მარბიელი რაზმებისათვის, შუა ქართლში შესასვლელი გზა გადაჭრა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, მტკვრის ხეობის ისტორიაში გამოჩნდა დასახლებული და საყარაულო კოშკი სახელწოდებით „ბორჯომი“. (ეს კოშკი 1949 წელს გზის გაფართოებას შეეწირა).

პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძის მიერ სამხედრო-საისტორიო არქივში დაცული ერთ-ერთი დოკუმენტის შინაარსი ასეთია: „თუმცა სურამიდან კაპიტანმა რენენბერგმა ლეკებისა და თურქებისაგან შემდგარი ბრბოები დაამარცხა და გაფანტა ქვიშხეთის ტყეში, მაგრამ ქართული საყარაულო რაზმი, 40 კაცისაგან შემდგარი, იძულებული გახდა ლეკებსა და თურქებს ბორჯომთან დანებებოდა“.

რამდენადაც - XVIII საუკუნის 30-იან წლებში, ვახუშტი ბაგრატიონის დროს, მტკვრის ხეობის არც ერთ დასახლებულ პუნქტს „ბორჯომი“ არ ეწოდებოდა და XVIII საუკუნის 70-იან წლებში გამოჩნდა ამ სახელწოდების დასახლებული და საყარაულო პუნქტი „ბორჯომი“, სავარაუდოა, რომ ვახუშტი ბაგრატიონის რუსეთში გადასახლების შემდეგ და იოჰან ანტონ გიულდენშტედტის საქართველოში მოგზაურობამდე ეი. 1724-1771 წლებში, ხეობაში, ახალციხის მახლობლად მდებარე ჭაჭარაქის რაიონის ბორჯომიდან, ბორჯომელები ხეობის ტერიტორიაზე გადმოსახლდნენ. კერძოდ, დღევანდელი ტაშისკარის მიდამოებში და ამ ადგილს მშობლიური სოფლის სახელი, „ბორჯომი“, შეარქვეს. ვარაუდს დამამტკიცებელ ელფერს ის აძლევს, რომ ახალციხის მიდამოებში სახელწოდება „ბორჯომი“ მას შემდეგ აღარ იხსენიება.

XX საუკუნის შუა ხანებამდე ახალდაბასთან არსებობდა სოფელი ჭაჭარაქი, დღეს კი ნასოფლარის სახელია შემორჩენილი, რომელიც „ბორჯომის“ მსგავსად უცნობია ვახუშტი ბაგრატიონისათვის. როგორც ჩანს, ახალციხიდან ორივე სოფლის მოსახლეობა გადმოვიდა ამ მხარეში და ორივემ თავიანთი სოფლის სახელები თან წამოიყოლა.

ხეობის შემოსასვლელი კლდეკარის სახელი „ბორჯომი“ კი, ისტორიისათვის ძალიან მოკლე პერიოდში, მთელ ხეობაზე გავრცელდა. პირველი წერილობითი წყაროები, რომლებიც მტკვრის, ანუ სადგერის ხეობას „ბორჯომის ხეობის“ სახელით მოიხსენიებს 1819 წლითაა დათარიღეს.

1819 წელს ავალიშვილები საქართველოს მთავარმართებელს მიმართავენ, რომ **„ჟამთა ვითარებისაგან ჩვენი საუკეთესო მამული ბორჯომის ხეობა მტერთაგან აოხრებულიყო და ამა მიზეზით ჩვენის ყმებით ვცხოვრობთ აქამდის ბრეთსა“. შემდეგ ავალიშვილები მოითხოვენ „ბორჯომის ხეობის ნასოფლარს სადგერში“** თავიანთი ყმებით საცხოვრებლად გადასვლასა და რამდენიმე წლით ახალმოშენეების ბეგარისაგან გათავისუფლებას.

ამიერკავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ სერგის ძე ვორონცოვი უზომოდ ერთგული აღმოჩნდა უპირველესად რუსეთის იმპერიის, იმპერატორის და შემდგომ თავისი სამსახურისა და მოვალეობისადმი. მისი არნახული ხელშეწყობა, თანადგომა, აქტიურობა იყო საძირკველი იმისა, რომ ოცწლიანი „ბრძოლა“ ბორჯომის ხეობის მეპატრონე ავალიშვილებსა და რუსეთის იმპერიას შორის, იმპერიის გამარჯვებით დაგვირგვინდა. მიხეილ ვორონცოვმა, როგორც ამბობენ **„ჩალის ფასად“** შეაძენინა ბორჯომის მამული - ხაზინას.

1851 წლის 12 ივნისს ავალიშვილები საქართველოს მთავარმართებელს, მიხეილ ვორონცოვს კვლავ უგზავნიან მოხსენებით ბარათს - „დოგლედინის ზაპისკა“, რითაც დასტურდება, რომ ამ ხეობისათვის ბორჯომის სახელწოდება ახალი შერქმეულია. **„ძველთაგან ჰქონდათ ნაბოძები სანუქაფოდ ერთგულებითისი ნამსახურებისათვის წინაპართ-პაპათა და მამათა ჩვენთა, თავად ავალოვთ, საზოგადოდ მტკვრის ხეობა, რომელსაც აწ უწოდებენ ბორჯომის უშჩელიეს. ესე მამული შეიცავს ყოვლის მხრით სამართლიანსა და სამძღვარსა თვისსა შეუცვლელად, იმავე მდგომარეობით, როგორადაც ყოფილან დროს ქართველ მეფობისათ, რომლითაც ყოველ ჟამს უსარგებლიათ მათ და ვსარგებლობთ ჩვენც დღევანდელამდინ, ძალითა ბოძებულის წყალობისა წერილობითა ჩვენ მიერ ქონებულითა“.**

სახელწოდება „ბორჯომმა“ კი, დღევანდელ ქალაქზე ზუსტად როდის გადმოინაცვლა ამაზე წერილობითი წყაროები ჯერჯერობით არ მოიპოვება, ცხადია, რომ მინერალური წყლის ხელახალი „აღმოჩენის“ შემდეგ პატარ-პატარა დასახლებულ სოფლებს ბორჯომი უწოდეს...

ვიოლეტა ბალახაშვილი

მგელსაც ცოდნია შემრცხვენელმა?!

1970-იანი წლების ივლისის თვის ადრიანი დილაა. მე, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, ზაფხულს მშობლიურ ახალდაბაში ვატარებ. რაღაცნაირად მომეხალისა ანკესით სათევზაოდ წასვლა მდინარე „ნეძურას“ ხეობაში. მოვნახე წინა წლებში შენახული ბამბუკის ჯოხი, რომელიც გაწყობილი იყო ძუთ, ტყვიითა და საკალმახო ანკესით. მოვძებნე მოწითალო ფერის ჭიაყელები, რომლებიც მცირე ზომის ყუთში მოვათავსე თევზების სატყუარად. ეზოდან გასვლას ვაპირებდი, როდესაც ჩემი დამსვენებელი დედა და 10-12-ოდე წლის ბიჭუნა სახლის კიბეებიდან ჩამოვიდნენ. მისალმების შემდეგ დედამ მისურვა ბლომად თევზის დაჭერა. პატარა ნიკამ გაიგო თუ არა სათევზაოდ მივდიოდი, დედას აუტყდა, რომ გამომყოლოდა. დედის მკაცრმა უარმა ბიჭის ისტერიულ წივილსა და ტირილს ვერ აჯობა და ბოლოს თხოვნით მომმართა, ხელი არ გამეშვა ბავშვისათვის, ამას რომ რამე მოუვიდეს, მამამისი „გადამწვავსო“.

სამიოდე კმ-ის გავლის შემდეგ გადავედით მდინარე ნეძურას მარჯვენა შენაკად „კამის ვაკის ღელის“ ხეობაში. 1-1,5 კმ-ის გავლის შემდეგ გზის შემოკლების მიზნით, საცალფეხო ბილიკზე გავუხვიეთ, რომელიც შემოზღუდული იყო ტყის საფარით. განვაგრძეთ გზა დაფერადებული საძოვრებისაკენ. შუაგულ მინდორში ვიქნებოდით ასულები, როდესაც შეშინებულმა ნიკამ მანიშნა - მგელიო... ჩვენგან ზემოთ, ოდნავ მარჯვნივ, დაახლოებით 60-70 მეტრში, ალბათ ტყიდან იმ წუთის გამოსული მგელი იდგა, თავი ჩვენკენ ჰქონდა მოტრიალებული და მოგვჩერებოდა.

წამებში გავიაზრე, რომ ბავშვს არ უნდა შეშინებოდა და არ უნდა გაქცეულიყო. ნიკა, ეგ მგელი კი არა „ავჩარკა ძაღლია“, არ შეგეშინდეს, ჩემთან ახლოს მოდი მეთქი. ჩვენგან მარჯვნივ, 30-40 მეტრში, იდგა პანტის ხე, იქამდე მირბენას და ხეზე ასვლას მგელს ვერ მოვასწრებდით, უკან გაქცევაც სარისკო იყო, დაგვედევნებოდა... თუ არადა, ხელში ცერის სიმსხო ბამბუკის ჯოხით რა იმედზე ვიქნებოდი. ამ შეშინებულ ფიქრებში წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ მგელმა დაიყმუვლა ისე, როგორც კინოებში მომისმენია. იმავე წამს ტყიდან გამოხტა მეორე მგელი, მანაც პირველს ყმუილით უპასუხა, ორივენი თანატოლები იყვნენ და ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. კისრიდან კუდამდე, შუა წელს ქვემოთ მუქი ჩალისფერი, ხოლო ზემოთ მოშავო-მოლურჯო ფერისანი იყვნენ. მზის სხივებზე საოცრად ბრწყინავდნენ. ისეთი ლამაზები იყვნენ (ეს მერე, გვიან გავაცნობიერე), რომ მისვლა, თავზე ხელის გადასმა და მოფერება მოგინდებოდა...

რამდენი წამი ვიდექით და ვუყურებდით მგლებს სუნთქვაშეკრულები, კარგად მახსოვს, რომ მგლებმა ერთმანეთს შეხედეს, დაიყმუვლეს, ძუნძულით გადაჭრეს მინდორი და შევიდნენ ტყეში. კიდევ რამდენ ხანს ვიქნებოდი ასე ფიქრებში, რომ არა ნიკას ხმა - „ხომ წავიდნენ ავჩარკა ძაღლები, წავიდეთ ეხლა სათევზაოდო“. რა მეთევზავებოდა, წუთიწუთზე ველოდი მგლების თავდასხმას. რის ვაივაგლახით დავიყოლიე ნიკა, რომ სახლში წავსულიყავით. ცივ უარზე იყო იქამდე, ვიდრე არ შევპირდი, რომ მეორე დღეს წავიყვანდი სათევზაოდ.

მას შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა. როცა გამახსენდება ეს ამბავი, ვფიქრობ, იქნებ ზომაზე მეტად მაძღრები იყვნენ და ჩვენზე თავდასხმა ამიტომ არ სცადეს?! სხვა რამეებსაც ვაანალიზებ... ბოლოს კი იმ აზრამდე მივდივარ, რომ მგლებმა, შესაძლოა, შეგვიბრალეს...

ალგი ლომიძე,
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი.

საქმით გამორჩეული

ამაგდარი ქალბატონი

ნათელა მარგბირსიანი სამედიცინო სასწავლებლის დამთავრებისთანავე 1979 წელს ახალდაბის პოლიკლინიკაში ექთნად მიავლინეს. ახალგაზრდა და სანდომიანმა ქალიშვილმა თავისი პროფესიონალიზმით და ადამიანური ყურადღებით უმალ მიიპყრო არამარტო პოლიკლინიკის თანამშრომელთა, არამედ ახალდაბელთა ყურადღება. პოლიკლინიკის მაშინდელი მთავარი ექიმი ვენერა ნადარაია ყველაზე რთულ დავალებებს მას აძლევდა, რადგან იცოდა ნათელა თავს არ შეირცხვენდა და დავალებას პირნათლად შეასრულებდა.

სანდომიანი და მომხიბვლელი საპატარძლოს ცოლად შერთვა ბევრმა მოინდომა, მაგრამ პოლიკლინიკასთან ახლოს მცხოვრებმა წესიერმა და უაღრესად მშრომელმა ადამიანმა სერგო (ჩიტო) ლომიძემ ყველას დაასწრო. ნათელასაც ბევრი არ უფიქრია, რადგან მათ ოჯახში კარგად იცნობდნენ სერგოს მშობლებს, დედმამიშვილებს.

ერთი სიტყვით, იმავე 1979 წელს, წყვილმა ჯვარი დაიწერა, ტკბილი და ლამაზი ოჯახი შექმნეს. მალე ქალ-ვაჟი შეეძინათ და სასახელო შვილები დაზარდეს. ამჟამად ორივე დაოჯახებულია, ქალბატონი ნათელა ახლა უკვე სამსახურთან ერთად შვილიშვილების დაზრდაში ეხმარება შვილებს და სიამაყითაც ეკაკუნება გული.

ორიოდე წლის წინ 75 წელს გადაცილებული ძვირფასი მეუღლე გარდაეცვალა, რომელიც დიდი ძალა იყო არა მარტო ოჯახისათვის, არამედ მეზობლებისა და ახალდაბელთათვის.

ეულად დარჩენილ ნათელას, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ტკივილით განიცდის ერთგული მეუღლის გარდაცვალებას, მისი ტვირთის ზიდვაც დააწვა და შვილებს არ აგრძნობინებს მამის გარდაცვალებას.

ქალბატონ ნათელას გვინდა ჯუსურვოთ ჯანმრთელობა, ტკივილების მოშუშება, ოჯახის ერთგულად გაძღოლა და თავისი მოვალეობის კვლავაც პირნათლად შესრულება.

ქალბატონი ნათელა ყოველთვის იყო მისაბაძი შრომაში, ოჯახის ერთგულებაშიც და იმედს გამოვთქვამთ, რომ თავისი მტკიცე ხასიათით კვლავაც იქნება ახალდაბელთა ჯანმრთელობის და ოჯახის სიმტკიცის საფარველზე.

თეიმურ ხუხუნაიშვილი
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

გია მურღულია:

მობილური, ვითარცა ურო ბავშვებისა და იმათი მშობლების თავში!

მობილური ტელეფონი გაკვეთილზე (თუ სწავლებ-ის მეზინით მოთხოვნელი არ არის) ისევე ზედმეტი და დამაზმანებელია, როგორც ურო მზარეულის მაგიდაზე. - ამის შესახებ ფილოლოგი, ჰუმანიტარული აკადემიის ხელმძღვანელი გია მურღულია სოციალურ ქსელში წერს.

„ის მოსწავლის ყურადღება და განწყობას სრულად აშორებს სასწავლო და აღმზრდელობით პროცესს.

როდესაც მასწავლებელი გაკვეთილს ხსნის (ან სხვა ნებისმიერ თემას ეხება), მოსწავლე კი ამ დროს მესიჯებს აგზავნის და იღებს ანუ გონებრივად და ემოციურად სხვაგან იმყოფება, ეს თავად სკოლის იდეას ამახინჯებს - ამ დროს პედაგოგისა და ბავშვის კომუნიკაციის ხარისხი ძალიან დაბალია ან საერთოდ არ არსებობს.

არის ქვეყნები, რომლებშიც მობილურ ტელეფონებს ბავშვები სკოლებში მოსვლისთანავე აბარ- ებენ ადმინისტრაციას, დაცვას ან მასწავლებელს.

არის ისეთი ქვეყნები, რომლებშიც მათი მიტანა სასწავლო დაწესებულებაში საერთოდ აკრძალულია. საქართველოში, ამ მხრივ (ისევე, როგორც სხვა სფეროებში), მოქმედებს პრინციპი: „რა მოხდა მერე“.

საქმე იქამდე მივიდა, რომ გაკვეთილზე მასწავლებლის შენიშვნას - ტელეფონით ნუ საუბრობ ან მესიჯებს ნუ აგზავნიო - მოსწავლეები შეურაცხყოფად და ბავშვთა უფლებების უხეშ დარღვევად მიიჩნევენ.

გარდა უკიდურესად გამონაკლისი შემთხვევებისა, ეს, რა თქმა უნდა, რაციონალიზმისა და უბ- რალო ეთიკის ფარგლებს სცდება.

ბევრ სკოლას შინაგანაწესში უწერია, რომ მობილური ტელეფონის გამოყენება გაკვეთილზე ბავშვისთვის (მასწავლებელსაც იგივე ეხება) აკრძალულია, თუმცა ამ წესს, პრაქტიკულად, არავინ იცავს.

ამდენი იმიტომ დავწერე, რომ ვთქვა: სკოლის აკადემიურ წარმატებას (ისევე, როგორც მოსწავლისა და მასწავლებლის გონივრულ და ემოციურ კომუნიკაციას) მობილური ტელეფონი ხელს უშლის და მისი გამოყენება გაკვეთილზე უპირობოდ უნდა შეიზღუდოს.

მოვისმენდი საწინააღმდეგო არგუმენტებს, მაგრამ, მგონი, ისინი საერთოდ არ არსებობს.“

მოძღვარი გვირჩევს!

ასწავლეთ შვილს, რომ ყველა დაკურებული არ არის

ასწავლეთ, რომ ყველას არ გააჩნია თავშესაფარი, რომ ყველა არ სწავლობს კერძო სკოლაში, რომ ყველა ვერ ყიდულობს „ბიგ მაკს", ან „ჩიზ ქეიქს"...

ასწავლეთ, რომ ბევრი იმიტომ ვერ დადის სკოლაში, რადგან ფეხსაცმელი გაუცვდა. ასწავლეთ, რომ ქალაქში ცხოვრება არ არის უპირატესობა, ასწავლეთ, რომ სოფელში ყოფნა არ ნიშნავს პროვინციალიზმს.

ასწავლეთ შვილებს, რომ სხვების ჩაგვრა სიძლიერე არა, სისუსტის ბრალია, რომ დაცინვა კომპლექსია და არა უპირატესობის ნიშანი.

ასწავლეთ, რომ სიყვარული ყველაზე დიდი განძია, რაც ღმერთს ადამიანისათვის უბოძებია... ასწავლეთ, რომ ერთგულება რჩეულთა ხვედრია...

ასწავლეთ ვაჟებს, რომ ხშირად აჩუქონ გოგონებს ყვავილები, თუნდაც მინდვრის...

ასწავლეთ გოგონებს, რაც უფრო მოუწვდომელი იქნებიან, ბიჭები უფრო დააფასებენ...

ასწავლეთ შვილებს, რომ ტაძრების მშენებლობაში მონაწილეობის მიღება მარტო სულიერება არაა, მთავარი მცნებების დაცვაა...

ასწავლეთ, რომ ლუკმა მშიერს გაუყონ და არასდროს იტრაბახონ „ადიდასის" ქურთუკით, თუ სხვას სცივა...

ასწავლეთ, რომ ამპარტავანი ადამიანი ღვთისათვის მიუღებელია...

ასწავლეთ შვილებს, რომ მათი დანიშნულება მხოლოდ სიკეთის კეთებაა...

ასწავლეთ, რომ ნებისმიერ გამვლელს მიესალმონ და გაუღიმონ...

ასწავლეთ, რომ უპატრონო საფლავებს მოუარონ...

ასწავლეთ, რომ შუქნიშანთან მდგარი მოხუცი, გზის მეორე მხარეს გადააცილონ...

ასწავლეთ, რომ სხვების წარმატება უხაროდეთ, რომ მეგობრები ფულის, მშობლების გავლენის მიხედვით არ შეარჩიონ, რომ არავინ სძულდეთ...

ასწავლეთ... მაგრამ ჯერ თავად ისწავლეთ!..

მამა პეტრე

საახალწლო დეკორაციების ბრწყინვალება

ყოველ ახალ წელს განწყობის შესაქმნელად ქალაქები, სხვადასხვა დაწესებულება მთელი დიდებულებითა და ბრწყინვალეებით ირთვება. ასე მოირთო ჩვენი პატარა ქალაქი 2023 წლის შესახვედრად, სხვა ადგილის მდებარეობით, რომელიც განსაკუთრებულ და ზღაპრულ გარემოში მოგზაურობას უფრო ჰგავს მისი მორთულობით. ბორჯომელთა უმრავლესობისგან დიდი მოწონება დაიმსახურა ბორჯომის მერაბ კოსტავას სახელობის ახლადრენაბილიტირებულ ბაღში დადგმულმა საახალწლო ნაძვის ხემ და მოწყობილმა დეკორაციებმა.

ნათია ზაზაძე, 25 წლის: - ოჯახთან ერთად გადავწყვიტეთ საღამოს გამოგვესეირნა ბორჯომის პატარა პარკში, ძალიან მომეწონა აქ შექმნილი ზღაპრული გარემო, როგორც პატარებისთვის, ასევე უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის. ძალიან კარგი დრო გავატარეთ მთელი საათების განმავლობაში. ბედნიერებით სავსე წელიწადს გისურვებთ.

ნინი ბლიაძე, 35 წლის: - საზეიმო განწყობით მეგობრებთან ერთად ვიმყოფები, ბაკურიანში ვისვენებთ და ბორჯომშიც გამოვისეირნეთ. ოჰ, ძალიან ბრწყინავს, სკვერში ყველაფერი ისეთი ლამაზია, ემოციებით გავსებს. უამრავი სამახსოვრო ფოტოც გადავიღეთ ამ შესანიშნავ ციმციმა დეკორაციების ფონზე.

მოსე ივანიძე, 23 წლის: - უკვე რამდენჯერმე ვეწვიე ბორჯომის საახალწლოდ მორთულ პატარა პარკს, ისეთი სასიამოვნო გარემოა, სურვილი გიჩნდება, ხშირად გამოისეირნო. ჩემთვის განტვირთვაა ასეთი სილამაზით სავსე ადგილზე ყოფნა.

თამრიკო ზედგინიძე, 61 წლის: - შვილიშვილებთან და სტუმრებთან ერთად ახალი წლის დღეებში ვესტუმრეთ პარკს, ბორჯომის ნაძვის ხის სანახავად. შესანიშნავი, საზეიმო განწყობა დაგვხვდა და გასართობმა მრავალფეროვანმა დეკორაციებმა პატარები ძალიან გაახარა. ბოლოს, სახლში წამოსვლა აღარ სურდათ.

წელს, განსაკუთრებულ ხალხმრავლობას შენიშნავდით ბორჯომის მერაბ კოსტავას სახელობის პატარა პარკში. ცნობილ სახეებსაც მოჰკრავდით თვალს. ვიტყოდი, მართლაც გაამართლა ამ ახალ ტერიტორიაზე დადგმილმა ნაძვის ხემ, მორთულმა დეკორაციებმა და წამიერად ზღაპრის გმირებად წარმოჩენილმა საზოგადოებამ.

იზა იანვარაშვილი

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2 ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

ბაკურიანის საჯარო სკოლის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

გია წარიტოვის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს

ბორჯომის ყოფილი განათლების განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით თანაგრძნობას უცხადებენ ვენერა სირბილაძეს შვილის

მარინა კოჩაძის

გარდაცვალების გამო.

2022 წლის საუკეთესო მოსწავლე-სპორტსმენები

1. **საბა შეგელაშვილი** - ბ/რ ჭიდაობა;
   ბექა ჭკუასელიძე - ბ/რ ჭიდაობა;
2. **ნიკოლოზ გელაშვილი** - მძლეოსნობა;
   ელენე მელიქიძე - მძლეოსნობა;
3. **სატია აკოფოვი** - კიკ-ბოქსინგი;
   გია ხოჭოლავა - კიკ-ბოქსინგი;
4. **ანრი გეგეშიძე** - კარატე;
   ვასილ აჩელაშვილი - კარატე;
5. **ბესიკ შარეაძე** - კრივი;
   უჩა გოგალაძე - კრივი;
6. **გიორგი მესხი** - ჭადრაკი;
7. **ოთარ ხვედელიძე** - სამთო-სათხილამურო;
   ნელი უსტიმენკო - სამთო-სათხილამურო;
   ოთარ წულუკიძე - სამთო-სათხილამურო;
8. **გიორგი შაყულაშვილი** - ძიუდო;
   ანასტასია შაყულაშვილი - ძიუდო;
9. **არმენ აკოპიანი** - ბიატლონი;
   ნინო ქარქოზაშვილი - ბიატლონი;
10. **სოფო ჯოზანაშვილი** - ტრამპლინიდან ხტომა.

გუნდურ სპორტებში თავი ისახელეს

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გამართულ სპორტულ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდა 2007 და 2009 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც ფუნქციონირებს ახალდაბის სპორტულ ბაზებზე. 2007 წელს გუნდმა II ადგილი, 2009 წელს III ადგილი დაისაკუთრა.

ბორჯომის სასპორტო სკოლის გუნდი რეგულარულად მონაწილეობს ბავშვთა სარაგბო ფესტივალებში, სადაც ხშირად აღწევენ წარმატებებს.

წარმატებით ასპარეზობენ სპორტსკოლის სხვადასხვა ასაკის კალათბურთელები.

გრიგოლ ჭალახაძის მოგონება

მოახლოვდა შენი დაბადების დღე ჩემო გრიშა. შენ გარეშე აღვნიშნავთ დაბადების დღეს, 13 იანვარს 83 წლის გახდებოდი. ნაადრევად იწყებდი ხოლმე დაბადების დღის სამზადისს, ბავშვივით გიხაროდა, განსაკუთრებით ახლობლების მოსვლა. ალბათ, წელს განსხვავებული დაბადების დღე გექნება. წელს შემოგიერთდებიან შენი ძმა, რძალი და შენი საყვარელი ცოლისძმა, რომელზეც შენმა გარდაცვალებამ დიდი გავლენა მოახდინა. სულ შენს ხსენებაში იყო, განსაკუთრებით სუფრასთან. ახლა მანდ გააგრძელებთ ურთიერთობას და დაბადების დღესაც აღნიშნავთ.

ძალიან მიჭირს გრიშა უშენობა, ძალიან მენატრები, გვაკლიხარ, მაგრამ ჯერჯერობით უძლებ, თუ ამას გაძლება ჰქვია. შენი ოჯახის წევრები ვამაყობთ შენი ამქვეყნიური განვლილი ცხოვრების გამო. ყველგან სიკეთე გაქვს დათესილი და ამიტომაც სიყვარულით და სინანულით გიხსენებენ.

13 იანვარს შენ ოჯახში, ეკლესიაში და საფლავზეც, როგორც 5 წლის განმავლობაში შევავედრებთ შენს თავს, რომ ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა, ასე მოგილოცავთ დაბადების დღეს.

განისვენე მშვიდად.

შენი საყვარელი ოჯახი.

კეთილშობილი კაცის შვილი

ამა წლის 9 იანვარს ორმოცი დღე გავიდა, მას შემდეგ, რაც ამქვეყნიდან ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლა კეთილშობილებით, სითბოთი და სიყვარულით აღსავსე თხემით ტერფამდე ინტელიგენტმა და განათლებულმა ჯეირან გურგენიძემ.

დაამწუხრა ოჯახი - მეუღლე ნინო კარკაძე, შვილები: დათო, დიმიტრი, ვახტანგი, შვილიშვილები, ნათესავები და მეგობრები.

ბორჯომის მოსახლეობა ჯეირან გურგენიძეს იცნობდა, როგორც ჯეთილსინდისიერ, ქეშმარიტ პატრიოტს, უმაღლესი დონის პროფესიონალს. იგი მშენებელ-ინჟინერი გახლდათ, რომელიც გარდაცვალებამდე სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა, სადაც მას უმუშავია, ყველგან კეთილსინდისიერი შრომით, თანამშრომელთა უდიდესი სიყვარული და ავტორიტეტი დაიმსახურა, მეგობრობთან და ახლობლებთან იყო კულტურული და თავაზიანი პიროვნება.

ბატონ ჯეირანის გარდაცვალება დიდი დანაკლისია როგორც ოჯახის, ისე მისი საყვარელი ბორჯომის მოსახლეობის, ახლობლების, მეგობრების და ნათესავებისათვის.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი ტკბილი სული, ჩვენ კი ყოველთვის მოვიგონებთ როგორც ტკბილ და მისაბაძ პიროვნებას.

ჯეირან გურგენიძე ქალაქის ცენტრალურ სასაფლაოზე „წმინდა მიწაზე“ განისვენებს, მსუბუქი ყოფილიყოს მის გულზე დაყრილი ქართული მიწა უფალს ებარებოდეს.

თედო მელიქიძე